თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №57

28 დეკემბერი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ე.ა" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის საფუძველზე

მუხლი 1.

ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. თეთრიწყაროში, თამარ მეფის ქუჩა N34 - ში მდებარე, უძრავი ქონების (ს/კ84.01.35.127) ნაწილის, მეორე სართულზე არსებული 158 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი წესით, იჯარის ფორმით ფ/პ მარინე ჟღენტისთვის (პ/ნ01023006888) 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე
საკრებულოს თავმჯდომარე

TETRITSKARO MUNICIPALITY
Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2018.12.31 13:00:51 +04'00'